№ 171

ხუთშაბათი, 21 აგვისტო 1897 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1897

# ივერია

№ 171

ხუთშაბათი, 21 აგვისტო 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდ ზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

პირველ სექტემბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია" ჰღირს 4 მან. 75 კაპ.

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის
(წელი მეთექვსმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1897—8 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორიც და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9 სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, ათვთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუჩარიანცს, ტფილისს. (24—127—20)

## ქართული თეატრი

ქართული თეატრის ამხანაგობის გამგეობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ იგი დამდეგ სეზონისათვის **იწვევს** ყველა **სცენის მოყვარეთ**, რომელნიც მოისურვებენ ქართულ თეატრში სამსახურს. მსურველნი მიმართვენ გამგეობის წევრს **პავლე ყიფიანს**, ყოველ დღე ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში.

ამხანაგობის გამგეობა აგრეთვე სთხოვს ყველას, ვისაც-კი ორიგინალური, გადმოკეთებული ანუ გადმოთარგმნილი პიესები აქვს თავის პირობებით წარმოადგინოს ამავე ადრესით.

(10—6—1)

## რედაქციისაგან

ვაცნობებთ იმ ხელის-მომწერელთ, რომელთაც შარშან პირველ იანვრიდგან მთელის წლით გამოიწერეს გაზეთი და თუმანი წარმოადგინეს, რომ გაზეთი მოესპობათ ამ აგვისტოს დამლევს. ვისაც ჰსურს ამ 1897 წლის დამლევამდე ეგზავნებოდეს გაზეთი, უნდა შემოიტანოს კიდევ 3 მან. 33 კაპ.

## ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლა.

აგვისტოს 26, 27 და 28 რიცხვებში მოხდება მისაღები ეგზამენები. 1 და 2 ენკენისთვეს იქნება ხელმეორედ გამოცდა ზოგიერთ შეგირდებისა. 3 ენკენისთვეს გარდახდილ იქნება პარაკლისი და სწავლა დაიწყება.

თხოვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა; ბ) ყვავილის აცრის მოწმობა და გ) მოწმობა ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა, რომ მთხოვნელი ირიცხება ხსენებულ ბანკის დამფუძნებელთა შორის.

ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორი ალ. ალ. გარსევანაშვილი

(3—6.—3)

## მთავრობის განკარგულებანი

გამწესებულ იქმნენ მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის პაჟთა კორპუსის კამერ-პაჟი თავადი ამილახვარი—თერგის უაზნსთა ბატარეის ხორუნჟად; კონსტანტინეს არტილერიის სასწავლებლის პორტუპეი-იუნკერი ციკლაური—კავკასიის სათადარიგო არტილერიის ბრიგადის პოდპორუჩიკად; ნიკოლოზის საინჟინერო სასწავლებლის პორტუპეი-იუნკერი ზედგინიძე კავკასიის პირველ საპიორთა რაზმის პოდპორუჩიკად; პავლეს სამხედრო სასწავლებლის პორტუპეი-იუნკერი საგინაშვილი—78 ნავაგინის ქვეითა რაზმის პოდპორუჩიკად; ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებლის იუნკერი თავადი მაჩაბელი—კავკასიის მეოთხე ადგილობრივ მსროლელთა დრუჟინის პოდპორუჩიკად; ელისავეტგრადის იუნკერთა სასწავლებლის იუნკერი კობიაშვილი—მისს უმაღლესობის დანიის მეფის სახელობის მე-45 რაზმის კორნეტად.

## ახალი ამბავი

—

*** 24 აგვისტოს, კავკასიის მთავარ მართებელი გენერ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი ყარსის ოლქში წაბრძანდება და 7 სექტემბერს უკანვე დაბრუნდება.

*** გუშინდელს კრებაზედ საბჭოს დამფასებელმა კომისიამ ახლად არჩეული დამფასებლები დას-დასად დაჰყო და თითო დასს თითო ხელმძღვანელი დაუნიშნა. თავ. ჩერქეზიშვილის ხელმძღვანელობით იმუშავებენ სტარცევი და ედილხანოვი, ბუდდანოვ-ბაღდასაროვისა — სვედენცევი და ლასხიშვილი, ტერ-გრიგორიანცისა—ალიბეგოვი და ყიფშიძე, ზავაროვისა—ვართანიანცი და მაიკოვი, მირზოევისა—ეჯუბოვი და კისტენევი და იაკოვლევისა—ჩიმიშკიანცი და ანანოვი.

*** ტფილისის გუბერნატორის კანცელარია ლაბარატორიის ქუჩიდგან ახალ სადგომში იქმნება გადატანილი ჭავჭავაძის ქუჩაზედ, თავ. ნ. ჭავჭავაძის სახლში.

*** გუშინ, 20 აგვისტოს, ტფილისის გუბერნატორმა თ. ა. ბიკოვმა ტფილისის პოლიციის მეორე ნაწილის სადგომი დაათვალიერა და კმაყოფილი დარჩა.

*** გუშინ, 20 აგვისტოს, ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ გაუქმებულ იქმნას ყველა ის ფიცრის დუქნები და ფარდულები, რომლებიც იარმუკაზეა აშენებული და რომელიც მეტად აუშნოებს და ავიწროებს მოედანს.

*** 19 აგვისტოს ტფილისის „საბრანიის" სადგომში ტფილისის ექიმებმა ვახშამი გაუმართეს ტფილისში ჩამოსულ ექიმთა საერთაშორისო კონგრესის წევრებს. ვახშმის დროს უკრავდა ზურნა და საზანდარი. ლეკურისათვის საუკეთესო მოცეკვავენი იყვნენ მიწვეულნი. უცხო სტუმრებს მეტად მოეწონად ჩვენებური მუსიკა და ცეკვა და რამდენჯერმე გაამეორებინეს. ტაშის კვრას დასასრული არა ჰქონდა.

*** შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაადგინა, რომ ის საქონელი, რომელიც ქალაქებში დასაკლავად მიჰყავთ, უეჭველად რკინის გზით იქმნას ხოლმე გადაყვანილი. ამ განკარგულებას აზრადა აქვს, რომ როდესაც ფეხით მიერეკებიან საქონელს, სხვადა-სხვა სოფლებზედ გატარების დროს საქონლის ჭირი არ გავრცელდეს. ამასთანავე ამიერ კავკასიის რკინის გზა ათ საბეითალო ნაწილად იქმნა გაყოფილი, რომლებშიაც თითო ბეითალი იქმნება დანიშნული. ჯერ ჯერობით შინაგან საქმეთა სამინისტრო თავისის ხარჯით ნიშნავს სამს ბეითალს ტფილისსა, ბაქოსა და განჯაში, ხოლო დანარჩენს ნაწილებში ადგილობრივ ბეითალებს მიენდობა, რომ თვალ-ყური ადევნონ საქონელს.

*** ტფილისის საგუბერნიო მმართველობამ ქ. ახალციხეში გაგზავნა ბეითალი ბოლოტოვი და დაავალა გასინჯოს ახლად შეკეთებული სასაკლაო, რომელიც შარშან დაჰკეტა მთავრობამ უვარგისობისა გამო. ამას გარდა ბ-მა ბოლოტოვმა უნდა გასინჯოს ფოსტის ცხენები ბორჯომისა, ახალციხისა და აბასთუმნის გზაზედ და აგრეთვე მთელს ახალციხის მაზრაში.

*** ტფილისში არსებობს ქალაქის სამკურნალო ავის სენით შეპყრობილ ქალთათვის. აქამდე ეს სამკურნალო არავის ექვემდებარებოდა და იმისს საქმეებს განაგებდა, როგორც ენებებოდა, მკურნალი ისტამანოვი. 19 აგვისტოს ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ეს სამკურნალოც დაუქვემდებაროს სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორსაო.

*** რუსეთის ფრინველთა მომშენებელ საზოგადოებას აზრადა აქვს თურმე ტფილისში საზოგადოების განყოფილება დააარსოს. საზოგადოების გამგეობას უკვე მიუმართავს ნებართვის ასაღებად მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო მამულების სამინისტროსთვის.

*** ამიერ კავკასიის რკინის გზის ლიანდაგზედ, ტფილისის სადგურსა და ნავთლუღს შუა ხშირად მომხდარა უბედურება და მატარებელს ხალხი გაუტანია. ამიტომ რკინის გზის მმართველობა ამ ლიანდაგზედ ორთავ მხარიდგან კედელს აკეთებს, რომ ლიანდაგზედ აღარავინ იაროს. ამ გვარად ლიანდაგს გაღმა მცხოვრებლებს ძლიერ დაუშორდებათ გზა და ან ავჭალის ქუჩაზედ რომ რკინის გზის ლიანდაგის ხიდია, იმის ქვეშ უნდა გაიარონ და ან იმ ხიდზედ, რომელიც რკისის გზის სახელოსნოებთანაა. ზემოხსენებულ მცხოვრებლებს მიუმართავს ქალაქის გამგეობისთვის და სთხოვს, გვიშუამდგომლეთ რკინის გზის მმართველობის წინაშე, რომ ლიანდაგზედ გადასასვლელი ხიდები გაგვიმართოს. გამგეობამ ამ საქმის გამოკვლევა დაავალა თავისს ინჟენერს და როცა ეს ინჟენერი მოხსენებას წარადგენს ამ საქმის შესახებ, ქალაქის საბჭო განიხილავს ამ მოხსენებას და მცხოვრებთა თხოვნას.

*** ტფილისის სახაზინო თეატრში წარმოდგენები სექტემბრის ნახევრიდგან დაიწყება. ანტრეპრენიორად ბ-ნი ფორკატი იქმნება.

*** ქალაქის გამგეობა წარუდგენს ქალაქის საბჭოს მომავალ კრებას თავის მოხსენებას ქალაქის ელექტრონით განათების შესახებ. აზრადა აქვთ ელექტრონით განათება შემოიღონ მომავალს 1898 წელს.

*** იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს ტფილისის პოლიცმეისტერის არხივის ქაღალდების გადასინჯვა, მიიღო გუბერნატორის მოწერილობა იმის შესახებ, რომ გადათვალიერებულ და განხილულ იქმნას არხივის ყველა ქაღალდები და საბუთები დაწყებული 1801 წლიდგან. კომისიამ რამდენიმე ქაღალდები და საბუთი 1886 და შემდეგ წლებისა უკვე განიხილა და ახლა სთხოვს გუბერნატორს, რომ 130 ათასი საქმე გაუქმებულ იქმნას განუხილველადაო. ამის შესახებ ნება-რთვა ჯერ არ მოსულა.

*** ავჭალის წყლის მილის გამგე ინჟენერი მიხაილოვი სამსახურს თავს ანებებს, რადგანაც ბათუმის ქალაქის გამგეობამ მიიწვია და სთხოვა იქ წყლის მილის გაკეთება.

*** ხშირად მოხდება ხოლმე, რომ მგზავრი რკინის გზის ბილეთს იყიდის და რაიმე მიზეზისა გამო ველარ წავა იმ მატარებელით, რომლის №-იც ბილეთს აზის. ამ შემთხვევაში სხვა მატარებელით წასვლის ნებასაც აღარ აძლევენ და ბილეთი გაბათილებული რჩება, მგზავრს ფული ეკარგება. როგორც რკინის გზათა დეპარტამენტს განუმარტავს ახლა, მგზავრს ამ შემთხვევაში შეუძლიან ბილეთი სადგურის უფროსს, ან მისს მოადგილეს წარუდგინოს, ბილეთს შტემპელს დაჰკრავენ, რომ მგზავრი სადგურზედა რჩება და შემდეგის მატარებლით შეუძლიან წასვლა, მხოლოდ ბილეთი კასსაში ხელმეორედ უნდა იქმნას წარდგენილი, რომ მიმავალ მატარებლის ნომერი დაასვან. ამ რიგად, დღეიდგან ეს ერთი უსიამოვნო გარემოება თავიდგან აცილებული აქვთ რკინის გზით მოგზაურთ, თუ-კი ყველა მოახერხებს და აღნიშნულის წესისამებრ მოიქცევა. მაგრამ განა ყველა მოჰკრავს ყურს ამ ამბავს, რომ გაჭირვების დროს გამოიყენოს? მაგალითად გლეხს ვინ ჩააგონებს?

*** ქართულ თეატრის მმართველ ახლად შემდგარ ამხანაგობის გამგეობის ერთი წევრი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ადგილობრივ გაზეთებ-

ში დაბეჭდილი ცნობა, ვითომ ამ გამგეობის მიერ შედგენილ სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვით მომავალ სეზონში 5000 მანეთი ვალი უნდა დაედოსო, ტყუილი არის. სავარაუდო ხარჯთ აღრიცხვით, მომავალ სეზონში შემოსავალი უნდა იყოს 11,300 მანათი და ამდენივე ხარჯი წარმოდგენების გამართვისათვის.

⁂ 18 აგვისტოს ტფილისში ჩამოვიდნენ ექიმთა საერთაშორისო კრების წევრნი: ავგუსტ იულიუს რეიმერსი, ავგუსტ პოლ კიუმმელი, ფრიდრიჰ ბრიუმერი, კარლოს შპენერი, რიჰარდ შმიდტი, ალექსანდრე რუმლერი, პავლე მეიერი, გერმან კომნიკი, ოსკან დებნერი, რიჰარდ შუბერტი, ჰენრიხ ზელლებერგი; ყველანი სასტუმრო „ლონდონში“ ჩამოხდნენ.

19 აგვისტოს ჩამოვიდნენ: სტენლოახე („გრანდ-ოტელში ჩამოხდა“), სოვე, ლაბაში, ადალბერტ, ვესელი, ვაშლიაკი და სტეფ. ფილიპი („ორიანტში“ ჩამოხდა).

⁂ ტფილისის მოქალაქეთ საჩივარი შეიტანეს გუბერნატორთან მოქალაქეთა უფროსის ედიგარ ედიგაროვის წინააღმდეგ. მოქალაქეთა დეპუტაცია თვით წარსდგა გუბერნატორის წინაშე გუშინ-წინ, 19 აგვისტოს, და სთხოვა, ყურადღება მიაქციეთ ედიგაროვის უკანონო მოქმედებათ. ამასთანავე დეპუტაციამ სთხოვა გუბერნატორს მისწეროს ედიგაროვს, რომ მან დააჩქაროს დეპუტატების არჩევანები, რადგანაც 1895 წლიდგან აღარ მომხდარა იგი იმისდა მიუხედავად რომ არჩევანები ყოველ წელიწადს უნდა იყოს ხოლმე.

⁂ დუშეთის საპატიმროს ზედამხედველი ბ-ნი ჯაფარიძე გადაყვანილ იქმნა ბაქოს საპატიმროს ზედამხედველად, ხოლო იმის ადგილზედ დუშეთში პოლიციის მეოთხე ნაწილის პოლიციელი ბ ნი მოლჩანინი იქმნა გამწესებული.

⁂ 12 და 13 აგვისტოს სიღნაღის მაზრის დიდსა და პატარა შირაქისა, შუამთასა და ნაზარალების ადგილებში თუშებისა და ფშაველების საზამთრო საძოვრებსა და სადგურებს ცეცხლი წაეკიდა. ზარალი 20,000 მანეთს აღემატება.

⁂ როგორც გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ეს ატყობინებენ ქუთაისიდგან, შავის ქვის მწარმოებელთა კრების საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი გ. ფ. ზდანოვიჩი (იგივე მაიაშვილი) მალე პეტერბურგს თურმე წავა, რომ შავის ქვის მწარმოებელთა მიერ ამ მიმდინარე წელს აღძრული შუამდგომლობანი დაიცვას.

⁂ როგორც გაზ. „ნოვ. ობოზ“-ს გაუგონია, სათეატრო კომისსია, რომელიც წარსულს წელს ქუთაისში ჰმართავდა ქართულს წარმოდგენებს და რომელსაც ქართული დრამატიული საზოგადოება განაგებდა, ახლა დასს თურმე ადგენს და რეჟისორად უკვე მიუწვევია ჩვენი ნიჭიერი არტისტი ბ-ნი ალექსი მესხიშვილი. კომისია ამ წელს დრამატიულ საზოგადოებისაგან აღარ იქმნება დამოკიდებული და თავისით გაჰმართავს წარმოდგენებს, რეპერტუარი უკვე მზადა აქვთ და ამათში მრავალი ახალი პიესაა (ნათარგმნი).

⁂ როგორც გზათა სამინისტროს მიერ მიღებულ ცნობებიდგანა სჩანს, დარუბანდისა და პეტროვსკის რკინის გზაზედ იქამდის სწრაფად მიდის მუშაობა, რომ ამ წლის დამლევს უკვე დაიწყება მატარებლების მიმოსვლაო, სწერს „ნოვ. ვრემია“.

## წერილი სვანეთიდგან

ყველამ იცის თუ რა მიუდგომელი მხარეა სვანეთი. მთელი 8 თვე ზამთარია და კაცს სვანეთში დაძვრა არ შეუძლიან ადგილიდგან, მხოლოდ 3 თვის განმავლობაში თუ ჰნახავს კაცი სვანეთს და სვანი სხვა მახლობელს მხარეს, მაგრამ მაშინაც ძნელოა მოგზაურობა გზების უვარგისობისა გამო. რამდენი ბოქაული გამოიცვალა სვანეთმა, მაგრამ არცერთმა მათგანმა მისს ძირეულს საჭიროებას, მაგალითად, გზების გაუმჯობესობასა და სხვას, არ მიაქცია ყურადღება. იყვნენ კეთილნი, მაგრამ ისინიც მხოლოდ ვიწრო წრეში მოქმედებდნენ. არ შეგვიძლიან არ მოვიხსენიოთ ახლად გამომწესებული ჩვენში ბოქაული ს. ლ. დალაქიშვილი, რომლის მობრძანება ჩვენში უნაყოფოდ არ დარჩენილა. იგი მოსვლისათანავე შეუდგა ახალის გზების გაყვანას. ეს გზები ვაკეა, მოხდენილს ალაგს გაყვანილი, საკმაო სიფართოვე ექმნება; ეტყობა, რომ ბ-ნი დალაქიშვილი ამ საქმეში ძლიერ გამოცდილია. ეს-კი შევნიშნოთ, რომ ზოგიერთმა მამასახლისებმა ბოქაულის გეგმას არ მისდიეს და ამიტომ გზა ვერ გამოვიდა ზოგან რიგიანი.

ყველაზედ ვაკე, ფართო, ლამაზი, მკვიდრი გზა გაიყვანა მესტიის მამასახლისმა მ. ჭედლიანმა, რომელიც სხვა „მამასახლისების“ მხრივ მიბაძვის ღირსია. ბოლოს უნდა ვსთქვათ, რომ ახალის გზების გაყვანა დიდს სარგებლობას მოუტანს სვანეთს, რომელიც თავისს დღეში არ დაივიწყებს ბ ნის დალაქიშვილის ამაგსა და ყოველთვის მისი კეთილად მხსენებელი იქმნება.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ერთი გარემოება... 28 ივნისს, როდესაც ს. მესტიაში ახალს გზას აკეთებდნენ, უზარ-მაზარის ქვის ქვეშ ორის ადლის სიღრმეში ჰნახეს 21 ნაჭერი სხვა-და სხვა გვარი ნივთი. სამი ნაჭერი რკინისაა (1—სატეხი, 2 და 3 დამტვრეულია) და ჟანგისაგან მთლად შეჭმულია, თუმცა-და ნივთები მშრალს ალაგას ყოფილა. 4) ლახვარი უტარო, დაჭრელებული ლამაზის ზოლებით, სიგრძით ნახევარი ადლია; 5) ხანჯალი, ტარ-მოტეხილი, სიგრძით 7 გოჯია; 6 და 7) ორი საომარი ნაჯახი, სიგრძით ხუთ-ხუთი გოჯი, პირი სივრცით ორი გოჯი აქვს, ორივე ლამაზი ზოლებით არის დაჭრელებული და მძიმეა; 8) რაღაც იარაღი, სიგრძე აქვს 6 გოჯი, პირი სიგანით $2^1/_2$ გოჯი. 9) დანა—4 გოჯი; 10) უცნობის ფრინველის სახე—ერთი გოჯი. 11, 12 და 13) სამი რგოლი სხვა-და სხვა ზომისა; ერთი მეშვიდედი ალაგი ღია აქვთ, ერთი დაჟანგებულია; რა სახმარისნი იყვნენ ეს ნივთები, ჩემთვის გაუგებარია. 14) ხელსაკიდი რგოლი—11 გოჯი. 15—16) ორი ლამაზის სახის ნივთი, რომელთა მნიშვნელობა ვერ გავიგე; ჩემის ფიქრით, კაცის დამამშვენებელი იარაღები უნდა იყოს. 17, 18 და 19) სამი რგოლი. 20) კიდევ რგოლი. 21) სადგისი—5 გოჯის სიგრძისა. როგორც ზემოთა ვსთქვით, პირველი სამი ნივთი რკინისანი არიან, ხოლო დანარჩენი 18 ნივთი თითბრისა. ყველა ეს ნივთები, გარდა რკინეულობისა, შეღებილია ლურჯის საღებავით, რომლის მოშორება გაუფხეკელად საძნელოა და ისე მშვენიერად შენახულა, რომ გაგიკვირდებათ. შეიძლება ეს ნივთები არხეოლოგიისათვის გამოსადეგი არ იყოს, მაგრამ მაინც საინტერესოა ყველასათვის.

ი. მარგიანი

## მთის რაჭა.

მართალია, მთის რაჭველები არასოდეს არა ვყოფილვართ ნაქები მოსავლით, მაგრამ წრევანდელი მოსავალი მაინც ღმერთმა შეინახოს! ჯერ გაზაფხულის ხშირმა წვიმებმა და შემდეგ ზაფხულის არეულმა ტაროსმა ისე აგვიბალახ-ჩალავა ყანები, რომ მომკა გალეწვად არა ჰღირს. კაი უნდა, რომ ხალხის უმეტესობას ან ორ-სამ თვეს გაჰყვეს წრევანდელი მოწეული სარჩო ქერი. ქერის მოუსავლობამ თქვენი ჭირი წაიღოს, ნეტავ ბალახი მაინც არ გვილპებოდეს სათიბებში: ერთის თვის ნათიბი ჯერ კიდევ მიწაზედ ჰყრია, ვერ აგვიღია ხშირის წვიმებისა გამო. გვეგონა ღმერთი გვწყალობს, ქერ-პურის უმოსავლობას სიმინდის იაფობით მაინც მოვიჩხეთო, მაგრამ აქაც ბედმა გვიმუხთლა. როგორც ამბობენ, ყიზლარ-მოზდოქის მხარე დამშეულა და კავკავის ოსებსაც იქით მიუმართავთ თავიანთის სიმინდებით. დღემდის რომ კოდს სიმინდს მანათად ვყიდულობდით ოსებისაგან, დღეს ფუთსაც ვეღარ ვშოულობთ ამ ფასად.

2 აგვისტოს რაჭის მთის სოფელ ღებში მობრძანდა ახალი მაზრის უფროსი თავადი ჯანსოხ თენგიზის ძე დადიშქელიანი. როგორც ახლო მეზობელის და მამა-პაპით დაახლოვებულ მებატონიშვილს, ღებელები აღფრთოვანებულის სიყვარულით, სიხარულითა და აღტაცებით მიეგებნენ ძვირფასს სტუმარს. მაზრის უფროსის ღმობიერმა მუსაიფმა და სითავდაბლემ გააოცა ღებელები. „რა მადლიანი და ენა ტკბილი კაცი ყოფილა ეს სულ ცხონებულის შვილი! სხვა ნაჩალიკები ცხვირის წინ არ გვიკარებდნენ; მოსახსენებელი რომ რამე გვქონოდა, „წუწკო! დათვო! ღორო“-ს ძახილით პირში ბურთს გვიდებდნენ და ეს-კი, ხედავთ, რავა თავაზიანათ და ამხანაგურად გვეპყრობა ყველასაო!“ ჩურჩულებდნენ ერთმანეთში ღებელები. მეორე დღეს, 3 აგვისტოს, წირვის შემდეგ, მაზრის უფროსის ბრძანებისამებრ, სოფლის კანცელარიის მოედანზედ თავი შეიყარა ორის სოფლის, ღებელების და ჭიორლების ხალხის ყრილობამ. ბ-მა მაზრის უფროსმა სთქვა: „ღებელებო და ჭიორლებო! გუშინ დილიდგან მოკიდებული დღეს დილამდე მე თქვენ გემუსაიფეთ მეზობლურად და ახლა-კი საქმეზედ უნდა გელაპარაკოთ. თქვენთან მეზობლურის საუბრით თუ სულ არა, ცოტათი მაინც გავეცან თქვენს ყოფა-ცხოვრებას. როგორც თქვენი სოფლის აგებულებამ, ისე თქვენმა ზნე-ჩვეულებამ თვალ-წინ დამიხატა ჩვენი სვანეთი. როგორც სვანეთში, არც თქვენში მომწონს ბევრი რამ. მაგალითად: სულ მცირე დანაშაულის გამო თქვენც, როგორც სვანები, თურმე მკლავის ძალით უსწორდებით ერთმანეთს. შიგა და შიგ გულიათ ქურდებიც. ზოგი თქვენგანი ყაბართოდგანაც მოერეკება ნაქურდალს საქონელს. გარდა ამისა, გავიგე ისიც, რომ ორსავე სოფელს ერთმანეთში მტრობა გაქვთ მაშინ, როდესაც თქვენი მამა-პაპანი სიყვარულით სცხოვრობდნენ და ჭირსა და ლხინში თანაგრძნობას უწევდნენ ერთმანეთსა. თუ გსურთ დაიმსახუროთ ჩემი ყუ-

# ფელეტონი

## რომანსი

არა აქვს ჩემსა სატრფოსა
არც ფული, ქრთამად შობილი,
არცა ფარჩისა კაბანი,
მიმროთი შენამკობილი,
არც ოქრო, ვერცხლი, ზურმუხტი,
არც ლალი, წითლად პობილი,
არც ალმას ბრილიანტები,
არც მარგალიტი წყობილი;
მზითევად ჩითის კაბა აქვს
და ქრთამად გული ჰკვიანი,
ანგელოზსა ჰგავს ღვთისასა
შავ-თვალა, სახე-მზიანი,
მის ჭკვა-მშვენებას ჰნატრობენ
ნარგიზნი, ვარდნი, იანი,
იშვიათია ამ ქვეყნად
მის მსგავსი ტურფა-ღვთიანი;
არ გაგვცვლი იმ ჩემ სატრფოსა
მთელ ქვეყნის სიმდიდრეზედა,
არც გავცვლი მზე და მთვარეზე,
არც ციურ სამოთხეზედა,
არც გავცვლი, ვფიცავ გამჩენსა,
ათას წლის სიცოცხლეზედა,
იგია ჩემი სიცოცხლე
მთელს ცა და ქვეყანაზედა!..

დ. მაჩხანელი

## წერილი გურიიდან

წლევანდელი ამინდ-მოსავლობა.—მეაბრეშუმეობა და მისი აწმყო და მომავალი.—ციებ-ცხელება.—ჩვენი დაუდევრობა ჯან-მრთელობის საქმეში.—ქალების ავადმყოფობა.—მთაში გახიზნულები.—„ზაფხულობით მეჯოგეების ბედს ძაღლი არ დაჰყეფს!“—ოზურგეთის ბაღში თურმე მუდამ ფეხზე დგანან!—„წარვიდნენ დღენი იმედებისა“!.. —„სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა“!..

წლევანდელი წელიწადი გურიისათვის ჯერ-ჯერობით, უნდა მოგახსენოთ, ვერაფერი შვილია. ან ორ-ორის სამ-სამის კვირაობით წვიმა, ან თვეობით გვალვა, ან ისევ აკიდებული წვიმა... ეს ორი კვირა გადის, რაც მზის თვალი აღარა სჩანს, ხან გადაიღებს, ხან კოკისპირულს წვიმას გვირტყამს. ნიაღვრები დღე-და-დღე გვართმევს ოფლით ნამუშევარს ყანებს, და უიმისოდაც გახრიოკებულს ცხოვრებას გვიწიოკებს. ვინც აქამდე მოასწრო ყანების მეორე პირი დათოხვა, თორემ ამის შემდეგ ნამუშევარის ბარაქა არაფერი სათქმელია. აგვისტო ჩვენში „წვიმის თვეა“; თუ ერთ ხანს კიდევ ასე დაიჭირა, მაშინ მუდამ სველსა და ნესტიანს დასავლეთ გურიას ხომ სულ ერთიანად ობი გამოალპობს!.. სიმინდი უკვე დატაროებულია. შარშანდელის წლის ოდენა მოსავალს, როგორც ეტყობა, წელს სიზმრადაც ვერა ვნახავთ; გინდ ბევრიც მოგვივიდეს სიმინდი—რა ჯანაბა-დოზანად გვინდა?!. როცა ჩვენ ათასგვარი კანონიერი და უკანონო გარდასახადი ყელში გვიჭერს და ფული გვჭირია, მაშინ ჩვენი ნაოფლარი ოხრის ფასად უნდა ვყიდოთ. აშკარაა, მარტო სიმინდის თოხნა, ძველი კავ-სახნისის ჩაჭიდება ვერას გვიშველის და ჩვენს ბედს წალმა ვერ დაატრიალებს; ადრე თუ გვიან სხვა რაიმე ცხოვრების წყარო უნდა გამოვძებნოთ, ან მამა პაპური მუშაობისა და აღებ-მიცემობის წეს-რიგი შევცვალოთ. ყველასათვის ცხადია, რომ დღეს ჩვენი სიმინდით აღებ-მიცემობას სხვა ქვეყნების მეტოქეობა კრიჭაში უდგია და ადრე თუ გვიან სულის ამორთმევას ემუქრება...

ასეთს მისუსტებულს დროზედ სწორედ ღვთის წყალობად უნდა ჩაითვალოს, რომ ჩვენში დღეს სასოფლო მეურნეობის ერთმა დარგმა ფეხი მჭიდროდ მოიკიდა; ეს დარგი მეაბრეშუმეობაა. წელს ისეთი ოჯახი ძნელად იქნებოდა გურიაში, რომ ფუთი პარკი მაინც არ გაჰყიდა. ისეთებიც ბევრია, რომელთაც 5—8 ფუთამდე გაჰყიდეს. თუ გავიხსენებთ, რომ გურიაში მეაბრეშუმეობა სულ ერთიანად ქალების ხელშია, მაშინ ხომ დამეთანხმებით, რომ გურულის ოჯახისათვის ეს დიდი შესაძენია. ჩვენმა „შუამავალმა“ გურულ ქალების მეყაითობა ერთი-ორად წააქეზა და საქმის განვითარებას ხელი შეუწყო, მაგრამ ჯერ მაინც ბევრი დრო გაივლის, სანამ „შუამავალი“ მთელს გურიას მფარველობის კალთას გადააფარებს და მეყაჭეობას მკვიდრს ნიადაგზედ დააყენებს. ამისათვის თვით „შუამავალის“ დავაჟკაცება არის საჭირო, რაც დროსა და საქმის გონივრულად მოწყობაზედ არის დამოკიდებული. წელს „შუამავალის“ მოქმედება მარტო სალის თესლის გაყიდვითა და პარკის ყიდვით შემოიფარგლა; ესეც დიდი საქმეა; მას შემდეგ დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენი პარკ-აბრეშუმი კიტრის ფასად მიჰქონდათ გარეულსა თუ შინაურს დუმის მთლელებს. წელს „შუამავალმა“ ჯეროვანად შეუკრა მათ ხელფეხი. სამწუხაროდ, „მეორე მოსავალის“ პარკ-აბრეშუმი წინანდებურად ჩვენს „კეთილის მყოფელებს“ ჩაუცვივდათ ხელში ჩალის ფასად. მომავალში იმედია „შუამავალი“ მოქმედების ფარგალს გააფართოვებს: საჭიროა ყველას მივაწოდოთ სალი თესლი, საჭირო ცნობები, მოკლე სახელმძღვანელოები და სხვა, აგრეთვე უნდა შევისყიდოთ ორივ მოსავალის პარკ-აბრეშუმი. ამისთანა დალოცვილის ბუნების პატრონ მხარეში აბრეშუმი წელიწადში ორჯელ კეთდება. ბჟოლის ხე (თუთა) თუმცა ყოველ გვარს მოვლა-მოშენებას მოკლებულია, მაგრამ მაინც ხარბად იზრდება. ჭიების გამოკვება, იმათის ერთის ადგილიდგან მეორეზედ გადასმა და ათავისთავება ჯერ სულ მამა-პაპურია; სხვა საჭირო იარაღებს რომ თავი დავანებოთ, ჩვენს მეყაჭეებს ჯერ ჭიის გამოკვების დროს საჭირო დაჩვრეტილი ქაღალდიც ვერ შეუძენიათ; აქ არის საჭირო ჩვენი „შუამავალი“. აწმყო მეაბრეშუმეობისა დიდი ვერაფერია, მომავალი მისია.

ყველაფერი გვეშველება, ეს ციებ-ცხელება რომ არ გვართმევდეს სულს,

რადღება, თუ გსურთ ვითარცა მაზრის უფროსმა და თქვენმა კარის მეზობელმა კანონიერი დახმარება და მფარველობა გაგიწიოთ, მოსპეთ ყველა ზემო თქმული, ღვთისა და კაცისაგან საზიზღარი და მავნებელი ჩვეულებანი, იცხოვრეთ თქვენის საკუთარის პატიოსანის ოფლით და ერთმანეთის სიყვარულით. წინააღმდეგ შემთხვევაში არ მივაქცევ ყურადღებას არც მეზობლობას, არც მეგობრობას და მოგეპყრობით სასტიკად". „შენი ჭირი მოგვცეს ღმერთმა ბატონო ნაჩალნიკო. შენს ბრძანებას მაინც არ გადავალთ, თუნდ ცხვრებივით თავებიც დაგვჭრაო", ერთხმად იგრიალა ხალხმა.

ბოლოს წინ წამოდგა ერთი მოხუცებული და მოახსენა მაზრის უფროსს: „ბატონო ნაჩალიკო, მოგახსენებათ ჩვენი უნამყოფო მიწის ამბავი. მართალია, ვცოდვილობთ, ვხნავთ, ვთესავთ, მარა არა მოგვდისრა ფშუტე ქერუკას მეტი და ისიც ცოტა. ჩვენი ცხოვრების სახსარს შეადგენს ერთად-ერთი ვაჭრული ანგარიში, აღებ-მიცემობა, მაგრამ ამ ბოლო დროს ველარც იმაში ვხედავთ გამარჯვებას. ვის ვალით, ვის სიმწრით ნაშოვარ ორ გროშით, გადმოგვყავს ყარაჩაიდგან თითო ოროლა ხბო და ვერეკებით ონის ბაზარში გასასყიდათ. გავყიდით, თუ არ გავყიდით, თითო თავ საქონელზე გვახდევინებენ თითო აბაზ ბაჟს და აღარა გვრჩება-რა მოგება. ჩვენი მიუვალი ბაზარ-ქალაქი არსად არის, არსად არ გვინახავს, რომ გაუყიდველ საქონელზე ბაჟი ვისმე გადაეხადოს და თუ კანონი იყოს, ბატონო ნაჩალიკო, ნურც ჩვენ გადაგვხდება, აგრემც ღმერთი გადღეგრძელებს". „ეგ ამბავი მეც შევიტყე და არც მე მომწონს. მაგის შესახებ უკვე მოვახსენე გუბერნატორს, კიდევ მოვახსენებ და იმედი მაქვს დავაკმაყოფილო თქვენი თხოვნაო", ბრძანა მაზრის უფროსმა, გამოეთხოვა საზოგადოებას და წავიდა ს. გლოლას.

იმედია ეს სიცოცხლით სავსე და საკმაო სწავლა-განათლებით აღჭურვილი ახალგაზდა ადმინისტრატორი მხნედ შეუდგება თავისის მოვალეობის აღსრულებას და კეთილად იღვაწებს, მეტადრე მთის რაჭველებისთვის, რომელნიც, როგორც განათლებით, ისე გონებრივად და ზნეობრივად გაცილებით დაქვეითებულნი არიან ბარის რაჭველებზედ.

მიხაკო ღებელი

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ვანი**, (ქუთაისის მაზრა). 30 ივლისს აქ საზოგადოებას კრება ჰქონდა ახალის მამასახლისის ამოსარჩევად. კრებას დაესწრნენ მომრიგებელ-შუამავალი ქავთარაძე და ბაღდადის ბოქაული ფვალავა; როდესაც შუამავალი და ბოქაული დაეკითხნენ ხალხს მამასახლისად ვინა გსურთო, ხალხმა ერთხმად დაიძახა: ვამეხი მაღლაკელიძე გვინდაო და თან დასტაცეს ხელი იქვე მყოფს მაღლაკელიძეს, აისვეს მხარზედ და ისე ატარეს სადამომდე. თუმცა ბოქაული და შუამავალი ურჩევდნენ ხალხს, სხვა ამოერჩიათ, რადგან მაღლაკელიძეს მთავრობა არ დაამტკიცებსო, მაგრამ ხალხი თავისას არ იშლიდა; დაჰქონდათ მაღლაკელიძე და ჰყვიროდნენ: „ჩვენ თუ გვკითხებით, მამასახლისად ეს გვინდაო!"

აი, წვრილად გარემოება ამ საქმისა: სოფელს განში დაარსდა ბაზრობა პარასკეობით. საბაზრო ადგილის ამოსარჩევად საზოგადოება ორ ნაწილად გაიყო, ერთ ნაწილს სურდა, რომ ბაზრობა გამართულიყო „ურემში", სადაც ორმოცამდე დუქანია, სოფლის სამმართველო, სამინისტრო სასწავლებელი და საფოსტო; მეორე ნაწილს ამორჩეული ჰქონდა ადგილი მდ. სუდორის გაღმა, პირველიდგან ერთის ვერსის დაშორებით, რომელსაც ეწოდება სახელად „საბეკა" და სადაც დღეს არსებობს ბაზარი. ამისათვის გაჩნდა დასდასობა. პირველის დასის თაოსნობა დასწამეს ამ ვამეხი მაღლაკელიძეს და ერთს აქაურს ებრაელს. მაზრის ადმინისტრაციამ ეს ორნი ვითომ საზოგადოების მავნებელ წევრებად იცნო და შეიტანა აზრი გუბერნიის სამმართველოში, რომ მაღლაკელიძე და ეს ებრაელი გადასახლებულ იქმნენ დროებით სხვა ქვეყანაშიო. გუბერნიის ადმინისტრაციამ გადაუწყვიტა ორნივეს სამ-სამის წლით ცხოვრება პირველს დაბა-ყვირილაში და მეორეს დ. სურამში. მაღლაკელიძემ და ებრაელმა სთხოვეს მთავრობას, რომ ჩვენ თუ მავნებელნი ვართ, ეკითხოს საზოგადოებას და თუ საზოგადოება გვიცნობს დამნაშავედ, მაშინ გადაგვასახლეთო. გუბერნიის ადმინისტრაციამ გამოუგზავნა წევრი, რომელმაც შეჰკრიბა საზოგადოება და გამოუცხადა მთავრობის გარდაწყვეტილება. საზოგადოება არ დასთანხმდა ამათ გარდასახლებას და ერთხმად შესძახეს: „მადლობის ღირსია ჩვენგან მაღლაკელიძე, რადგან ჯერ მამასახლისად გვყავდა და ახლა სკოლის მზრუნველია, ორივე თანამდებობას სინიდისიერად ასრულებდა და ასრულებს". ამ გვარად გამართლდნენ. დღეს საზოგადოებამ მაღლაკელიძე კიდევ მამასახლისად აირჩია. მთავრობა დაამტკიცებს თუ არა, ამას თავი დავანებოთ, ხოლო უნდა ვთქვათ, რომ ჭეშმარიტად ვამეხი მაღლაკელიძე მადლობის ღირსია, რომ ასეთი პატივისცემა დაუმსახურებია.

ვლადო ბზვანელი

## როგორ დაუხვდნენ ფრანგებს პეტერბურგში

პეტერბურგის ყველა ქუჩაში, სადაც-კი ფრანგები გამოჩნდებოდნენ, ისმოდა ერთი განუწყვეტელი ყვირილი: „Vive la France! Vive Faure!" და დილიდგან საღამომდე მთელი ქალაქი ამ ძახილისა და მარსელიეზის ხმით მოცული იყო. ყველგან აუარებელი ხალხი იყრიდა თავს, ხალხის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. აი, მაგ. „Сынъ Отеч." როგორ აგვიწერს „არკადიის" ბაღში ფრანგებისა და რუსების მასპინძლობას.

„სტუმრებს მეგობრულად ეგებებიან, ჰკოცნიან და ჰყვირიან: „საფრანგეთს გაუმარჯოსო". ვიღაც შავგვრემანმა ქალმა საფრანგეთის ზღვაოსანს ფეხთით ყვავილების პატარა თაიგული დაუგდო; ზღვაოსანი დასწვდა, აიღო, ტუჩთან მიიტანა და თაიგულს ნაზად აკოცა. ყველა აღტაცებულია, ისმის ყვირილი: „ბრავო", „მადლობელი ვართ"! ფრანგი ზღვაოსანი წათამამდა, მიირბინა შავგრემან ცუგრუმელა ქალთან და ხელზედ აკოცა. ხალხის აღტაცებას საზღვარი არა აქვს. ყველგან ღვინოსა თხოულობენ, ფრანგებს ჭიქებს უჭახუნებენ და სვამენ. ერთი ფრანგი ზღვაოსანი რუსულად გაიძახის: „Родная Русси!"-ო ხალხმა აღარ იცის, სიყვარული და მადლობა როგორ გამოუცხადოს; დასტაცეს ხელი და დიდხანს ასე აქანავეს ხელში. ფრანგმა ქუდი მოიხადა და შეჰყვირა: „ურა" „Спасибо!"-ო. ეს ზღვაოსანი მალე ყველას საყვარელი შეიქმნა და მთელს დღეს აუარებელი ხალხი დასდევდა უკან. მაგრამ საღამოთი სიარული აღარ შეეძლო; „მართალია ზღვაოსანს ზღვის ავადმყოფობისა არ ეშინიან", მაგრამ გრძნობდა, რომ ფეხ ქვეშ ნიადაგი ეცვლებოდა, მის თვალწინ ქუჩა მიდი-მოდიოდა, სახლები იძვროდნენ. რაღა იქმნებოდა, აიღო და მახლობელს „ნავთ-საყუდელს" მიაშურა, სადაც ნავების მაგივრად უცბად მთელი წყობა ბოთლებისა ჩამოამწკრივდა.

ქალაქის მმართველობის წარმომადგენელნიც ყველგან ფრანგ ზღვაოსნების პატივისცემაში არიან: თეატრში მიჰყავთ, საუკეთესო ადგილებს უთმობენ სცენის წინ. სცენაზედ გამოდის ფრანგი არტისტი-ქალი m—lle რენე ფრანგულ ნაციონალურის კაბითა და მარსელიეზასა მღერის. ხელში ნაციონალური საფრანგეთის ბაირაღი უჭირავს. უკანასკნელს მუხლს მუხლ-მოდრეკილი მღერის. ფრანგები აღტაცებულნი არიან. ერთი მოგზაური ცილინდრს მაღლა ისვრის და ჰყვირის: „Vive la France! Vive la Russie!". ყველა ერთგვარად აღტაცებულია, რუსიც და ფრანგიც.

მალე ორი ფრანგი ზღვაოსანი მთელის საზოგადოების საყვარელი შეიქმნა; ერთს ამათგანს მშვენიერი ჟუჟუნა თვალები აქვს, მეორე ისეთის ხმით გაიძახის „Да Здравствуетъ Русси"-ო, რომ კედლებს ზანზარი გააქვს. ლამაზმა აფიცერმა კიდევ ყველა ქალების გული დაატყვევა და მოჰხიბლა. ღამის 12 საათზედ სტუმრები თუ მასპინძლები ფეხზედ ძლივს იდგნენ, მაგრამ მაინც ყველაფერი წესიერად იყო. თვალ-ჟუჟუნა აფიცერი მაგიდაზედ შედგა და რამდენიმე გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა აქ დამსწრე რუსების შესახებ, რომელთაც ისეთი გულ-უხვი მასპინძლობა გაუწიეს. ეჭვი არ არის, დამსწრეთაგან ფრანგული ძალიან ცოტას ესმოდა, მაგრამ ბრბოში მაიმც გაისმოდა: „რასაკვირველია", „ძალიან კარგია», „იმიტომაც ხართ ჩვენები და სხვა არაფერიო». ერთი სიტყვით, საერთო აღტაცების დროს სიტყვის აზრს ყურადღებას აღარავინ აქცევდა. დიდხანს დადიოდნენ ასე ფრანგი ზღვაოსნები და რუსი მასპინძლები, ჰკოცნიდნენ ერთმანეთს, სიყვარულს უცხადებდნენ, ჰსვამდნენ და გაიძახოდნენ; „საფრანგეთს გაუმარჯოსო"!

შემდეგმა ამბავმა ხომ შესანიშნავი აღტაცება გამოიწვია: რამდენმამე ფრანგმა ზღვაოსანმა რუსეთისა და საფრანგეთის ბაირაღები გადააჯვარედინა და გადაჯვარედინებულ ბაირაღებ ქვეშ ერთმა მანდილოსანმა ფრანგ ოფიცერს გადაჰკოცნა. ხალხის სიხარულს, აღტაცებას, საზღვარი არა ჰქონდა. ყველანი ერთი მეორეს ჰკოცნიდნენ და გახრინწიანებულის ხმით გაჰკიოდნენ: „Vive la France!, Vive la Russie et la Tzar"! და თან უზომოდ ასმევდნენ და აჭმევდნენ გულუხვი მასპინძლები თავისს ფრანგ ძმებსა. რუსისა და ფრანგი მატროსები ერთმანეთს ქუდებს უცვლიდნენ და მთელს ღამეს ასე დაიარებოდნენ.

12 აგვისტოს, მეორე დღეს, საერთო აღტაცებამ, მოძრაობამ ერთი ორად იმატა. ქუჩები ხალხით გაიჭედა. თითო-ოროლა ფრანგი ყველგან მოეხელებინა ხალხს, რომ სული და გული გადაეხსნა და მეგობრებისათვის მასპინძლობა გაეწია. ერთი რომელიღაც ფრანგი თავისს ამხანაგებს ჩამოსცილებოდა და ბრბოში გარეულიყო.

— მოიცა, ეი, რა ნაციისა ხარ!

---

დადგება თუ არა ზაფხული, მოდის ჩვენი სულთამხუთავი, დანავარდობს თავისუფლად, რადგანაც „მომხდურს დამხდური არა ჰყავს"; და ჯეროვანს ხარკს გვართმევს. ჩვენს სახლში არც შემოსვლას გვკითხავს და არც გასვლას; თან მოსდევს „მთარგმნელ-მარჩიელთა" ჯარი, რომელთაც ჯერ ჩვენი ხალხი მოწიწებით უსმენს მშვენიერ ბაგეთაგან გადმონადენს თვალ-მარგალიტს. ამ დროს ჩვენი ოზურგეთი მიჩუმებულა, თითქოს სალათას ძილში იყოსო, და „სხვისი ჭირი—ღობეს ჩხირიო"! გაიძახის. მაშ რა ჯანაბაა ასეთი გულ-ცივობა?! ექიმი გვინდა, ბატონებო, ექიმი, რომელსაც წასვლა-მოსვლა შეუძლიან, თორემ კაბინეთში შებურული მეცნიერება და მიწაში დაფლული ოქრო რა შავ-ქვად გვინდა?! ჩვენ თუ არ გებრალებით, თავი მაინც შეიბრალეთ! ეჰ რას იზამ, როცა ჩვენი დაუდევრობა და უთავბოლობა „არ ახალია—ძველია».

მარტო ციებ-ცხელება-მუცელას ვინ სჩივის, ქალების ავადმყოფობას არ იკითხავთ? ან რა საკვირველია, რომ დასნეულებული ქალები გვყავს, როცა მთელს გურიას ერთი ნასწავლი ბებია-ქალი არ მოეპოვება. ამბობენ, ოზურგეთში ერთი ბებია-ქალი იყო და ამ ზაფხულში ისიც გაჰქრაო. ასეა თუ ისე, დედათა ტკივილით ამდენი ავადმყოფები ჯერ არ მინახავს და ახლა თქვენ თითონ სთქვით, რა დღეში უნდა ვიყვნეთ, თუ „დათვი ხაბაზობს და ვირი ლოტბარობს"! აქ ერთხელ კიდევ გვეძლევა შემთხვევა მოვიგონოთ, რა სულზედ მოსწრებული წამალი იქნება ჩვენთვის საჭინჭილ-სალინჭილოდ გამხდარი ერობა; ერთხელ კიდევ გავახსენებთ ჩვენს მეთაურებს ერობის მიუცილებელს საჭიროებას და მთავრობის წინაშე ჯეროვანის შუამდგომლობის გასაგრძობად გზას დაულოცავთ. იქნება მამალმა როდისმე ჩვენთვისაც იყივლოს და გათენებაც გველირსოს!

ჩვენ, პატარა კაცუნებმა, ჯიბე-გახვრეტილებმა უნდა ვიტიროთ, თორემ „რჩეულთა და ძლიერთა ამა ქვეყნისა" რა უჭირთ! ეს რამდენიმე წელიწადია, რაც შეძლებულები ზაფხულობით მთაში იხიზნებიან, ციებას გაურბიან. აჭარა-გურიის მთის წვეროები მშვენიერ საზაფხულო ადგილებს წარმოადგენს; ეს ახალ მოდის „დაჩები" ბუნებრივია, ჯერ ადამიანის ხელი არ დასჩნევია. ადამიანს ჯერ აქ რაც არა გაუნადგურებია-რა, თორემ სხვა არა უკეთებია რა. მშვენიერის სალის ჰავით შესამჩნევია „ბახმარო". უწინ ეს წვერო მეჯოგების საბუდარი იყო, ახლა ყველა, ვისაც ციებ-ცხელებისა სცხელა და ჯიბეშიაც კატები არ უჭყავა, ზაფხულობით „ბახმაროსაკენ" მიისწრაფვის. ამგვარ სააგარაკო ადგილებად უკანასკნელს წლებში სხვა წვეროებიც გარდაიქცა, მაგრამ ჯერ-ჯერობით იმათი მამათ-მთავარი „ბახმარო" პატრიარქობას ჩემულობს და მეტს ხალხს იზიდავს.

წელს, უნდა მოგახსენოთ, ვერაფერი „მთობა" იყო, რადგანაც ბარში მუდამ წვიმს, მთაში კი ამ დროს სიცივეებია. მაინც არა უშავს-რა!.. საგარაკოდ გასულთ ჩვენს ქალებს, ამბობენ, ძალიან დიდი საქმეები აქვთო: თურმე რწყილს აქლემად აჩენენ და ბუზი თუ გაფრენილი ნახეს, დათვი ჰფრინავდაო, ამტკიცებენ. გზა მშვიდობისა, ამტკიცონ! ჩვენი მეჯოგეები უფრო ბედნიერები არიან. მთაში ბევრი აქვთ ყველ-რძე-მაწონი, „ნადუღარი" (დო), ცივი წყარო და სუფთა ჰაერი. სცხოვრობენ ღვთის გაჩენილს ქვეყანაზედ!.. სწორედ რომ „ზაფხულობით მეჯოგის ბედს ძაღლი არ დაჰყეფს!"

წინად მოგახსენეთ, რომ ოზურგეთი ჩვენდა მომართ ძალიან გულცივობას იჩენს მეთქი. ჩვენს თავს ვიღა სჩივის, ოზურგეთს თავისი თავიც დავიწყებია!.. მახსოვს, სამი-ოთხი წლის წინად ერთი ჩვენის ავ-კარგიანობის მეთვალყურეთაგანი „ივერიაში" სწერდა, რომ თუ ოზურგეთს როდისმე თვით-მართველობა ეღირსა, ჩვენი საქმე წაღმა მოტრიალდებაო; დღეს ოცნება სინამდვილედ გარდაგვექცა, მაგრამ... სჩანს ჯერ ყრმამ ფეხი ვერ აიდგა და სიმოწიფულეში ვერ ჩადგა. ოთხის წლის განშორების შემდეგ ბედმა კვლავ ოზურგეთში ამომაყოფინა თავი; გავიარე ბაზარი, შემდეგ ქალაქის ბაღის გვერდში გავჩნდი, მივიხედ-მოვიხედე: ორსართულიან სახლზედ ეწერა: „ოზურგეთის თვით-მართველობა", აქვე ახლო წამოსკუპებულა „Управская улица". კარგი და პატიოსანი!.. ვიფიქრე გულში. „ჩვენმა თვით-მართველობამ ქუჩებს სახელები უშოვნა, ესეც საქმეაო", მითხრა ჩემმა ნაცნობმა ღიმილით და ქუჩების სახელების თვლას მიჰყო ხელი, მაგრამ მე უკვე ქალაქის ბაღში ამოვყავ თავი. გავიარე ბაღის ბილიკები, არც სისუფთავე, არც ერთი საჯდომი სკამი, „არც ფლავი, არც ჩლავი!" ჩემს ნეტარ-ხსენებულს დროს ბაღში სამი-ოთხი სკამი მეგულვებოდა; ახლა კი სჩანს ოზურგეთლები ბაღში მუდამ ფეხზე დგანან თუ როგორ არის საქმე, ვერა გავიგე-რა მე ცოდვილმან!...

სხვა საქმეები, წიგნთ-საცავ სამკითხველო?!... სჯობს გავჩუმდეთ!... ავად იყო თუ კარგად, კ. თავართქილაძესთან წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს საკითხავად მაინც კი იშოვიდით. სანამ შეიძლებოდა უჩქმიტეს და უწკმინტეს-გულში და ღვიძლში იმის წიგნთ საცავს, დღეს მთლად ხელ-ცარიელნი ვართ. ინტელიგენცია, მოწინავე კაცები, საბჭო, ქალაქის თავიო და სხ... იტყვით, მაგრამ სულ ტყუილი დარჩა, „წარვიდნენ დღენი იმედებისა"!... და ჯერ ჯერობით ოზურგეთი „ძველებურია—ჩვენებურია", ქუჩები-კი ახალს ქერქშია. არ ვიცი როდემდის ვიქნებით ასე, მხოლოდ ეს კი გამიგონია, რომ „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უდევს დიდი ზღვარიო"!...

ვ. სეფისპირელი

გაისმა ვილასიც ღრიალი და უზარმაზარის ვაჭრის ხელი ამ ფრანგის მხარზედ მძიმედ დაეშვა.

— ნასიი... ნასიი... იმეორებს ფრანგი ამ ბოლოს სიტყვას და არ ესმის, რას ეკითხებიან.

— ფრანგია, ფრანგიო! ღრიალებს ბრბო.

— ფრანგი! მაშ კარგიო და ვაჭარი, მთლად აღტაცებული, ხარივით თავს იხრის და ღრიალებს:

— შემჯექ მხარზედ, მუსიო! შემაჯექ, მეგობარო, ჰა! რაღას უცდი!

ფრანგი მეტად განცვიფრებულია ამ გარემოებით და არ იცის, რა ჰქნას, მაგრამ ხალხი აღარ აცდის, ხელს სტაცებს და მხარზედ შეასკუპებს ამ ჩასუქებულს ვაჭარსა. რაღა იქნება, ფრანგი თავისს ბედს მალე ურიგდება, ქუდს იხდის, გახურებული აქნევს მარჯვნივ და მარცხნივ და გაჰყვირის: „Vive la Russie!..

— Vive la France!—გაისმის გრგვინვით ხალხის ხმა.

ვაჭარი, რომელიც უმისოდ ქალაქის მცხოვრებს მუდამ თავზედ აზის, ახლა თითონ უშვერს მხარს მეგობარს ფრანგს და ბედნიერია, რომ ფრანგი მხარზედ აზის! მაგრამ ვაჭარი მალე დაიღალა, ფრანგი ფრთხილად ჩამოსვა, გადაეხვია, მაგრად დაჰკოცნა და გარდასწყვიტა, რომ სასტუმროში უნდა წავიდეთო. სტუმარ-მასპინძელი და მასთან ერთად აღტაცებული, ფრანგთ თაყვანისმცემელი ბრბო სასტუმროსაკენ მიეშურებიან, და მრავალი სხ.

# უცხოეთი

**ოსმალეთი.** კონსტანტინეპოლიდგან დეპეშით იუწყებიან: „უკანასკნელ აფეთქებათა გამო 14 კაცი დააპატიმრეს. პოლიცია გულმოდგინედ დაეძებს შეთქმულობის მონაწილეთ და უთუოდ მალე სხვებიც იქმნებიან დაპატიმრებულნი. ჰფიქრობენ, რომ სომხებსა და ახალგაზდა ოსმალებს კავშირი აქვთ ერთმანეთშიო. განსაკუთრებული ყურადღება პოლიციამ სოფთებს მიაქცია“.

**კრიტი.** გაზ. „Times“-ის კორესპონდენტი იწერება კრიტიდგან, რომ აგვისტოს პირველ რიცხვებში კუნძულის მეამბოხეთა წარმომადგენლებს კრება ჰქონდათ, რომელზედაც დაადგინეს: 1) გამოაცხადონ უკმაყოფილება ჯევად-ფაშის კუნძულზედ მოსვლისა და იმის ყოველგვარ მოქმედებისა და განკარგულების გამო; 2) აირჩიონ დროებითი მთავრობა, და 3) აირჩიონ ახალი გამგე კომიტეტი, რადგანაც ძველს ვადა გაუვიდა. ამ ახალის კომიტეტის თავმჯდომარედ ორი კაცი იქმნა დასახელებული—ხაჯიკი და ბენიზაკი. პირველი თვით-მმართველობის მომხრეა, ხოლო მეორე—კრიტის საბერძნეთთან შეერთებისა. არჩეულ იქმნა ბენიზაკი. საერთოდ, კორესპონდენტის სიტყვით, კრება ათინის ზედგავლენის ქვეშ ჰმოქმედებდაო.

— კანეიდგან სწერენ „Temps“-ს, რომ ადმირალებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ჯევად-ფაშას, რის გამოც ამ უკანასკნელმა ვერც ერთი თავისი განზრახვა ვერ განახორციელაო. პირველ ხანს მაჰმადიანებს აღელვება ეტყობოდათ, ხოლო როდესაც რამდენიმე ოსმალო გაისტუმრეს კუნძულიდგან და სამხედრო სასამართლო დაადარსეს, მშვიდობიანობა ჩამოვარდა და ყველანი დაწყნარდნენ. ამისდა მიუხედავად ყველა მოწადინებულია, რომ კრიტის საქმე მალე იქმნას დაბოლოვებული.

**იაპონია.** გაზ. Temps“-ს სწერენ იაპონიიდგან, რომ იაპონიის მემკვიდრე პრინცს ჰლექი გამოაჩნდა და ამ ჟამად სიკვდილის პირად არისო.

# ნაკვესი

პუგაოს ახლოს ტბაში ზაფხულში ორი დედაკაცი დაირჩო ერთი მეორის შემდეგ. ოლქის უფროსმა საჭიროდ დაინახა გაეფრთხილებინა ხალხი და შემდეგი განცხადება გამოჰკიდა თურმე:

„ვინც გაჰბედავს და თავს დაირჩობს ამ ტბაში, იგი სასტიკად იქმნება დასჯილი“-ო.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

სწორედ ერთი წელიწადია, რაც მთელმა ქვეყანამ თვისი ყურადღება მიაპყრო რენტგენის მიერ გამოგონილ სინათლეს. მას შემდეგ დღე ისე არ გავა, რომ მეცნიერებამ სხვა-და-სხვა სასარგებლო საქმისათვის არ გამოიყენოს ეს რენტგენის სინათლე. წელს-კი ვერ ვიტყვით, რომ ბევრი ახალი რამ გამოეგონოს მეცნიერებას. ყველაზედ მეტად საყურადღებოა ერთის პროფესსორის, გვარად ბოზეს გამოგონება, ეგრედ წოდებული „ელექტრონის თვალი“. ამ გამოგონების ამბავი მალე მოეფინა მთელს ქვეყანას, მაგრამ მისი მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ შეიტყეს, როდესაც ინგლისის სამეფო საზოგადოებამ (ლონდონშია) თვისის თვალით ჰნახა ეს „ელექტრონის თვალი“.

როგორ არის მოწყობილი და გაკეთებული ეს რაღაც „ელექტრონის თვალია“, მკითხველთ ვერ ვაუწყებთ, რადგანაც ბ-ნს ბოზეს ამ გამოგონების საიდუმლოება არავისთვის უთქვამს. ისიც საკმარისია მოვახსენოთ მკითხველს, რა არის ეს „ელექტრონის თვალი“ და რის გამოსადეგია. ამ „თვალის“ შემწეობით კაცს შეუძლიან დაინახოს ელექტრონის ის ძალა და მოქმედება, რომელიც ჩვენთვის აქამდე უჩინარი იყო. ამგვარად ეს „ელექტრონის თვალი“ ადამიანის თვალს იმით სჯობია, რომ ელექტრონის ძალასა და მოქმედებას ჰხედავს.

აი რა სთქვა თვით ბოზემ ლონდონის სამეფო საზოგადოების კრებაზედ: „ჩვენ ყველა ხმაურობა არ გვესმის, რომელიც-კი დედა-მიწის ზურგზედ არის. აგრეთვე ყველაფერს ვერა ვხედავთ, რაც-კი ქვეყანაზედ არსებობს. ზოგიერთი ცხოველი ჩვენზედ კარგად ჰხედავს საგნებს და ჩვენზედ კარგად ესმის ყოველივე ხმაურობა. რაც შეეხება ელექტრონის ძალასა და მოქმედებას, მისი დანახვა ადამიანს არ შეუძლიან. დიდხანს ვფიქრობდი და ვცდილობდიო, სთქვა ბოზემ, ისეთი რამ გამომეგონა, რომ ამ მოქმედების დანახვა შესძლებოდა ადამიანსო“.

ჯერ ისევ მეცნიერმა გერცმა დაამტკიცა, რომ ელექტრონის ძალას შეუძლიან გაატანოს ხესა და კედელს.

ბოზემ-კი ისეთი მანქანა გააკეთა, რომელიც ელექტრონის ძალას იზიდავს და თვალსაჩინოდ ხდის. სწორედ ამ მანქანას უწოდა ბოზემ სახელად „ელექტრონის თვალი“. ბოზეს ელექტრონის თვალი სინათლეს აგროვებს და აჩენს კიდეც. ამ თვალის შემწეობით ბ-ნმა ბოზემ ელექტრონის სინათლე გაატარა ბენგალიის გუბერნატორის სხეულში, შემდეგ სახლის კედელში და იქ ამ სინათლემ ცეცხლი წაუკიდა თოფის წამალს. ყველა მიხვდება, რომ ბ-ნ ბოზეს გამოგონება მეტად სასარგებლო და გამოსადეგი უნდა იყოს. ვსთქვათ ზღვაზედ დიდი ჯანყი და ბურუსია და ნაპირიდგან გნებავთ გემს ანიშნოთ რამ, ან სინათლე დაანახვოთ. საკმარისია მხოლოდ გემს ჰქონდეს ეს „ელექტრონის“ თვალი და ყველა ნიშნებს დაინახავს. ეჭვი არ არის, რომ ეს გამოგონება ბევრ სხვა საქმეშიაც სასარგებლო გამოდგება.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

20 აგვისტო.

**ვარშავი.** ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფა იმპერატრიცა 19 აგვისტოს, საღამოს $5^1/_2$ საათზედ მობრძანდნენ. ყველა ეკკლესიაში ზარის რეკა გაისმა, ზარბაზნები დასცალეს. ქალაქის მცხოვრებნი ქუჩის ორთავ ნაპირას მწყობრად სდგანან, ორკესტრები საერო საგალობლებს უკრავენ, ხმაურობა და ძახილი გაისმის; უავგუსტოეს მეფე-დედოფლის ეტლიც გამოჩნდა. ხალხი ქუდს იხდის და თავს უკრავს. აღტაცებულია. მათნი უდიდებულესობანი მოწყალედ თავს უკრავენ, ეტლი მიჰქრის, ხალხი მხიარულად ეგებება. მეორე ეტლში დიდნი მთავარნი ისხდნენ; ამათაც მხიარულად ეგებებიან. შემდეგ გამოჩნდა თავადი იმერეტინსკი, რომელსაც ხალხი გულ-კეთილად ეგებება. ხალხში კვლავ მხიარული ძახილი გაისმა, როდესაც უავგუსტოესს ყრმათა ეტლმა გაიარა. დაბოლოს ამალამ გაიარა. როდესაც წოდებათა წარმომადგენელნი დაიშალნენ, აურებელი ხალხი ქუჩას მიაწყდა. ყველა მხიარულობა ეტყობა.

**მოსკოვი.** ფრანგებმა დღეს პუშკინის ძეგლს გვირგვინი დაადვეს; ამას ფრანგ-რუსთა მანიფესტაციები მოჰყვა.

**დიუნკირხენი.** ფორი და ჰანოტო ხმელზედ გადმოვიდნენ. მელინი, ბენარი და ბილიო პრეზიდენტის დასახვედრად მოვიდნენ. მელინმა პრეზიდენტს მიულოცა, რომ მოგზაურობა ასე კარგად დასრულდა. ხალხი პრეზიდენტს აღტაცებით ეგებებოდა. სავაჭრო პალატისა და საავადმყოფოს ნახვის შემდეგ ფორი ბანკეტზედ დასასწრებლად წავიდა, რომელიც ქალაქის საბჭომ გაუმართა. მიუხედავად იმისა, რომ წვიმა მოდიოდა, მთელი გზა ხალხით იყო მოფენილი. ნაშუადღევის 2 საათზედ ფორი პარიზს წავიდა. პრეზიდენტი ხალხმა აღტაცებულის ძახილით გააცილა.

**პარიზი.** ქუჩები მთლად ხალხით სავსეა; მაღაზიების უმეტესი ნაწილი დაკეტილია; სახლები 14 ივლისისაზედ უკეთესად არის ბაირაღებით მორთული. პროვინციალურ ქალაქებიდგან მოსული დეპეშები იუწყებიან, რომ ხალხი აღტაცებით ეგებება ფორის დაბრუნებას. ფორს მრავალი ადრესი მიუვიდა.

**პეტერბურგი.** პოლიციის დეპარტამენტის ვიცე-დირექტორი ზვოლიანსკი ამავე დეპარტამენტის დირექტორად იქმნა დანიშნული.

პეტერბურგის ბირჟა, 19 აგვისტო.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | „ — | — „ | — „ |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . | — „ | — „ | $205^3/_4$ |
| $4^1/_2$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | $100^5/_8$ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $99^3/_4$ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $99^5/_8$ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | $99^1/_4$ | — „ | — „ |
| % პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 286 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | $245^1/_2$ |

# განცხადებანი

ТОВАРИЩЕСТВО
Брокаръ и К°.
ИЗОБРѢТАТЕЛИ
ГЛИЦЕРИНОВОЙ
ПУДРЫ.
СРЕДСТВО
ДЛЯ СМЯГЧЕНІЯ КОЖИ, РУКЪ И ЛИЦА.
Коробка съ пуховк. 80 к.



Коробка безъ пуховки 50 к.
(11—ð—3)

# ანგარიში

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.
1 აგვისტოს, 1897 წლისას.
(საზოგადოებამ დაიწყო თავისი მოქმედება 1895 წლის 17 ივლისს)

**აქტივი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. | საზოგადოების კასსა . . . . . . . . . | 6388 | 84 |
| II. | მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში . . . . . . . . . | 100 | — |
| III. | „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში . . . . . . . . | 2000 | 18 |
| IV. | განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი . . . . . . . . . | 133101 | 35 |
| V. | განაღდება ვადიან %-იან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხ. . . . . . . . . | 1038 | 76 |
| VI. | გირაოთი გაცემული სესხი: ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. . . . 823—70; ბ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. 2875—— | 3698 | 70 |
| VII. | საზოგადოების მიმდინარე ხარჯი . . . . . | 5879 | 76 |
| VIII. | დასაბრუნებელი ხარჯი . . . . . . . . | 195 | 31 |
| IX. | მოწყობა-მომართვა . . . . . . . . | 978 | 57 |
| X. | გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი . . | 20 | 20 |
| XI. | პროტესტში წასული თამასუქები . . . . . | 100 | — |
| XII. | ანგარიში მოგებისა და ზარალისა. . . . . . | 1255 | 98 |
| | ს უ ლ . | 154757 | 65 |

**პასსივი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. | თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 574 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან. . . . . . . . . . . . | 62912 | — |
| II. | სათადარიგო თანხა . . . . . . . . . . | 654 | 63 |
| III. | შემოტანილი ფული: ა) მიმდინარე ანგარიშით . . . 20453—22; ბ) ვადით . . . . . . . . 38390——; გ) უვადოდ . . . . . . . . 100—— | 58943 | 22 |
| IV. | მიღებული სარგებელი და კომისიის ფული, გარდახდილს გარდა . . . . . . . . . . | 5942 | 88 |
| V. | გარდასაცემი თანხა . . . . . . . . . | 2344 | 50 |
| VI. | გარდასახდელი სარგებელი . . . . . . . | 234 | 11 |
| VII. | გადაგირავება თამასუქებისა . . . . . . . | 23725 | — |
| VIII. | სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა . . . . . . . . . . . | 1 | 31 |
| | ს უ ლ . | 154757 | 65 |
| | პასუხის-მგებლობა 574 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა. . . . . . . . . | 566208 | — |
| | საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება . . . . . . . . . . . | 12000 | — |
| | თამასუქები საკომისიოდ . . . . . . . . | 5750 | — |

(1—ნ.—1)

Дозволено цензурою, Тифлисъ 20-го Августа 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.